ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ერთი ფორმა - მესხური ტერასები

დავით სართანია

01.04.2016

სამცხე-ჯავახეთის ტერასების 4 კატეგორია:

1. მდინარის მიერ ბუნებრივად ჩამოყალიბებული დავაკებები ანუ ბუნებრივი ტერასები.
2. არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეული ტერასები.
3. ქვისკედლიანი ტერასები - დარიჯები.
4. უკედლო ტერასები - ლარები.



ტერასები უმთავრესად მდ. მტკვრის ხეობის შუა მონაკვეთზე და მის შემდინარეთა ხეობებშია

უკედლო ტერასების (ლარების) რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კედლიან ტერასებს.

ლარები - უკედლო ტერასები

მოწყობილია ნაკლები დახრილობის **(8-10⁰)**-ის დახრილობის ზედაპირზე.

ფერდობის განივად ხვნის შედეგად მიიღებოდა და დაბალ მხარეს ნიადაგის შემაკავებლად რაიმე ხელოვნური კედელი არ გააჩნდა.

ლარების ხვნა:

- ❖ ლარი რამდენიმე წლის მანძილზე ხვნის პროცესით თანდათანობით იქმნებოდა მიზანმიმართულად;
- ❖ მეურნე ხვნას იწყებდა ფერდობის ძირში ამ ფერდობის გასწვრივ და თანდათანობით ღრმა ხვნაზე გადადიოდა. რაც უფრო ზემოთ ინაცვლებდა ხნული, მით უფრო ღრმა გამოდიოდა და ამიტომ ნიადაგი მოცემულ ფერდობზე ნელ-ნელა ვაკდებოდა;
- ❖ შემდეგ ადგილს ტოვებდნენ, რომელიც ბაქანს ქმნიდა და მის თავზე ახალ საფეხურს ანუ ლარის მოწყობას იწყებდნენ.

ამრიგად, რომ ფერდობის სიგანის მიხედვით
რამდენიმე იარუსს იღებდნენ.

ლარების ზომები:

- სიგრძე - ფერდობის სიდიდეზე იყო დამოკიდებული, თუმცა ბევრგან **200-400** მ-ს აღემატებოდა;
- სიგანე - სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა და მერყეობდა **4-30** მ-ის ფარგლებში.

ამიტომ მასზე, არა თუ ტრადიციულ ხარ-კამეჩის გამწევ ძალას, არამედ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც თავისუფლად შეუძლია მუშაობა.

ლარების მორწყვა:

- ლარების ხელოვნური მორწყვა არ ხდება, რადგანაც ისინი მდინარის სიახლოვეს არ მდებარეობდა და მდინარის წყლის იქ მიყვანა შეუძლებელია;
- არსებობდა ტენის შენარჩუნების მახვილგონივრული ხერხი: ნიადაგი 3-ჯერ იხვნებოდა:

I: შემოდგომით პირწმინდად იხვნებოდა, ადგილის გამოტოვების გარეშე ლარების გასწვრივ - გათერძვა;

II: იგივე წესით იხვნებოდა, ოღონდ ახლა საპირისპირო მიმართულებით - აოშვა ერქვა;

III: ხვნა ზამთრის დაწყებამდე - ჩაღარვა. ამ დროს ნიადაგი ლარის სიგრძეზე იხვნება ზოლის გამოტოვებით.

↓

მიწის ბელტებით შეზვინული ყოველი კვალი ანელებდა ძლიერი წვიმებისა და თოვლის ინტენსიური დნობის დროს წყლის ზედაპირულ დინებასა და ეროზიას, აგროვებდა ტენის საჭირო მარაგს.

ეს იყო მარტივი და იოლი და საკმაოდ ეფექტური ხალხური აგროტექნიკური ხერხი.

დარიჯები - კედლიანი ტერასები

მოწყობილია შედარებით დიდი დახრილობის დახრილობის ზედაპირზე, თანაც მდინარის ხეობის გასწვრივ, რომ მორწყვა მდინარის წყლის მომხდარიყო.

დარიჯის ტიპური ბაქნის ზომები:

- სიგრძე - **30-35** მ;
- სიგანე - **4-10** მ;
- მრავალი საფეხური.

მაგალითად, სოფლების ხიზაბავრასა და საროს დარიჯები **50**-დან **120** საფეხურს ითვლიდა.

ტერასის ქვით ამოყვანილი კედლის სიმაღლე **2-5** მეტრს აღწევდა.

დარიჯების მოწყობა:

- შეარჩევდნენ სათანადო მდებარეობის ფერდობს, სადაც წინასწარ იყო გაანგარისებული როგორი სიმაღლის კედლები უნდა აგებულიყო, რა სიდიდის ფართობი იქნებოდა დავაკებული, რა რაოდენობის ქვა იქნებოდა საჭირო, რამდენი მიწა იქნებოდა საჭირო და სხვა;
- შენება იწყებოდა ფერდობის ძირიდან;
- იწყებოდა მიწის გამოთხრა ფერდობის გასწვრივი მიმართლებით, ერთდროულად მიმდინარეობდა მიწის გამოღება და კედლის შენება.

დარიჯების მორწყვა:

- მაგალითად, ხერთვისის დარიჯები ფარავანისწყლით ირწყვებოდა, საიდანაც რამდენიმე ასეული მეტრის მანძილიდან არხი იყო გამოყვანილი.
  სარწყავი წყლის არხი საგანგებოდ მოწყობილ ქვით ამოყვანილ კალაპოტში მოედინებდა, რომელსაც ადგილ-ადგილ ჰქონდა საქცევები მოწყობილი სხვადასხვა ბაქანზე წყლის მისაშვებად.
  არხი გამოყვანილი იყო ყველაზე მაღალ ბაქანზე და შემდეგ ნაწილდებოდა ქვემოთა ბაქნებზე.

დღევანდელი მდგომარეობა:

- ლარები სამცხე-ჯავახეთში დღესაც ფართოდაა ათვისებული, სადაც მოჰყავთ მარცვლეული და კარტოფილი. ამ პროდუქტებზე მოთხოვნილება არსებობს. რაც შეეხება ვაზსა და ხილს, რეგიონში მათ სასაქონლო ხასიათი დაკარგული აქვთ და შესაბამისად, დარიჯებიც უფუნქციოდაა.
- საველე კვლევით გამოვლინდა, რომ ზოგან, მაგალითად, ხერთვისის დარიჯები, სადაც დღემდეა შემორჩენილი არა მარტო ტერასის ბაქნები თავისი ქვის კედლებით, არამედ მრავალწლიანი ნარგავებიც და ქვის სამეუნეო ინვენტარიც საქაჯავების სახით.

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა წარსულში, საქართველოს ძნელბედობის დროს, **XVIII** საუკუნეში:

„როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად“.

ხერთვისი

22
21
20
19
18
17
16
15
14

ხერთვისის ტერასები

მოქმედი ტერასები

კიბეები ტერასებზე

სარწყავი არხი

აუზი

ნაგებობები

ბუხარი

ნარგავები

საწნახელი

წვენის საწური

ნაწისქვილარი

აბანო

მინერალური წყარო

ხერთვისის აგეგმილი ნასოფლარი



გმადლობთ ყურადღებისათვის!